ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. მაისის 25 № 13 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

52. განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მუნიციპალური ფონდის სახლთმფლობელობებში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომების აშენების წესის შესახებ.

53. ზოგიერთი რაიალმასკომის მიერ რაიონების ტელეფონიზაციის სამუშაოთა უმართებულოდ დაფინანსების შესახებ.

54 სახელმწიფო ფონდების დებულების შეცვლის შესახებ.

55. ტრესტ „საქსანტექმშენის" რეორგანიზაციის შესახებ.

56. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.

57. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

52. განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებებისა, საწარმოებებისა და ორგანიზაციების მიერ მუნიციპალური ფონდის სახლთმფლობელობებში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომების აშენების წესის შესახებ.

დაწესებულებებისა, საწარმოებებისა და ორგანიზაციების მიერ მუნიციპალური ფონდის სახლთმფლობელობებში სადგომების აშენებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულებების, საწარმოებების და ორგანიზაციების მიერ მუნიციპალური ფონდის სახლთმფლობელობებში სადგომების აშენების დროს (დაშენება, მშენებლობის დამთავრება, მიშენება, შენობათა აღდგენა, აგრეთვე მათი აშენება საეზოე ნაკვეთების ცარიელ ნაწილებზე), ის ორგანო რომელიც მშენებლობას ანხორციელებს (დამშენებელი), უკეთუ ამ სამუშაოთა ღირებულება არსებული შენობების ღირებულებაზე ნაკლებია, სდებს სათანადო ხელშეკრულებას მუნიციპალური ფონდის შენობის ძირითად მოსარგებლესთან (საბინაო სამმართველოსთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან), ამასთან ყველა სახლთმფლობელობა, ახლად აშენებული ნაწილის ჩათვლით, რჩება მუნიციპალური ფონდის შემადგენლობაში და იმყოფება ძირითადი მოსარგებლის ერთიან გამგებლობაში.

შენიშვნა: უკეთუ აღნიშნული სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება უდრის ან აღემატება არსებული შენობების ღირებულებას, მშენებლობა განხორციელდება იმ წესის მიხედვით, რაც აღნიშნულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილებაში „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 23, მუხ. 191; 1935 წ. № 30, მუხ. 186; 1938 წ. № 16, მუხ. 79; საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 9, მუხ. 40).

2. დაშენების შესახებ დადებული ხელშეკრულება უნდა დაამტკიცოს ადგილობრივმა საბჭომ. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იქნას ნაჩვენები ხელშეკრულების ვადა, აგრეთვე დაშენების სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების ვადები.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც დამშენებელი ძირითადი მოსარგებლეა, იგი ხელშეკრულებას უშუალოდ სდებს ადგილობრივ საბჭოსთან.

4. სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ დამშენებელს უფლება აქვს ჩაასახლოს მდგმურები მის მიერ ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობში თავისი შეხედულებით და გააფორმოს ეს ჩასახლება ორდერებით, რომლებსაც გასცემს ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველო. საცხოვრებელ სადგომებში მდგმურთა ჩასახლების შემდეგ დამშენებელთა მიერ აშენებული ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობა და სადგომი გადადის ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველოს გამგებლობაში, გარდა მე-3 მუხლში აღნიშნული შემთხვევებისა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 16. № 677.
თბილისი.

---

53. ზოგიერთი რაიალმასკომის მიერ რაიონების ტელეფონიზაციის სამუშაოთა უმართებულოდ დაფინანსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს არსებულ არანორმალურ მდგომარეობას, რაც იმაში გამოიხატება რომ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები ავანსად გადაურიცხვენ ხოლმე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში შინასარაიონო კავშირ-გაბმულობის ტელეფონიზაციის სამუშაოთა ღირებულებას იმ დროს, როდესაც 1938 წლის გეგმით ეს სამუშაოები არ არის შესრულებული სრული მოცულობით (საგარეჯოს და ტყიბულის რაიონები), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მუშაობა დაწყებულიც კი არ არის (აღბულახის, კასპის და ლაგოდეხის რაიონები) და გამოუყენებელი სახსრები რჩება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქ. სსრ რწმუნებულის განკარგულებაში.

ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც შინასარაიონო კავშირ-გაბმულობის სამუშაოებისათვის სახსრებს გადარიცხავენ ის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ბიუჯეტებშიც არ არის გათვალისწინებული ასიგნობანი ტელეფონიზაციის სამუშაოებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქ. სსრ-ში უნდა დასდოს ხელშეკრულებანი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან შინასარაიონო კავშირგაბმულობის ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის სამუშაოთა შესრულების შესახებ მხოლოდ იმ საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, რომლებიც გაღებულია ამ მიზნისათვის.

აეკრძალოს იმ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს, რომელთა ბიუჯეტებშიაც არ არის გათვალისწინებული სათანადო ასიგნობანი, ხელშეკრულებათა დადება შინასარაიონო კავშირგაბმულობის ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის სამუშაოთა შესრულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილებულ იქნას რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები, რომ ამ დადგენილების დარღვევისათვის ისინი მიცემული იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

2. რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ შინასარაიონო კავშირ-გაბმულობის ტელეფონიზაციის და რადიოფიკაციის სამუშაოთა შესრულებისათვის სახსრების გადარიცხვა დაშვებულ იქნას მიმდინარე წლის სამუშაოთა სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 50%-სა, ამასთან დაწესდეს ხელშეკრულებაში ავანსის ზუსტი რაოდენობა, მისი გადარიცხვის ვადები და დაფარვის წესი.

3. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე საქალაქო საბჭოებს მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებებში შინასარაიონო კავშირ-გაბმულობის ტელეფონიზაციის სამუშაოთა შესრულების შესახებ დააწესონ სამუშაოთა შესრულების ზუსტი კალენდარული ვადები.

4. დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს უზრუნველჰყონ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ წარდგენილი ანგარიშების შეუფერხებლივ განაღდება შესრულებულ სამუშაოთა პროცენტებისა და მოწყობილობის შეძენის საფუძველზე.

5. წინადადება მიეცეს სსრ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ-ში დღემდე მიღებული სახსრები დაფაროს სათანადო სამუშაოთა სავსებით შესრულებით 1940 წლის 1 იანვრამდე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 16. № 679.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54. სახელმწიფო ფონდების დებულების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება სახელმწიფო ფონდების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 ივლისის დადგენილებით (საქ. სსრ დადგ. კრებ. 1938 წ. № 3, მუხ. 9):

1. 1 მუხლის „ა" პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „ა) სასამართლოს განაჩენით ან ადმინისტრატიული წესით კონფისკაციაქმნილი ქონება, აგრეთვე ბეითალმანი და უპატრონო ქონება, გარდა იმ საგნებისა რომლებიც ჩამოთვლილია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის 28 მაისს „კონფისკაციაქმნილი, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ". (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 32, მუხ. 323; 1928 წ. № 68, მუხ. 624) გამოცემული დადგენილებისა 1 მუხლის „ა"—„ი" პუნქტში".

2. მუხლი 2 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო ფონდების რეალიზაციისაგან შემოსული სახსრები ჩაირიცხება სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში".

ამ მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნას მომქმედი რედაქციით.

3. მუხ. 3 და 10 გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე. **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 28. № 751.
თბილისი

---

55. ტრესტ „საქსანტექმშენის" რეორგანიზაციის შესახებ.

იმ მიზნით, რომ უკეთ მოეწყოს სანიტარულ ტექნიკური სამუშაოები იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობასაც ტრესტი „საქქარხმშენი" აწარმოებს, რეორგანიზებულ იქმნას ტრესტი „საქსანტექმშენი" სამშენებლო ტრესტ „საქქარხმშენის" სანიტარულ ტექნიკური და სპეციალური სამუშაოების სამეურნეო ანგარიშზე მომქმედ კანტორად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 28. № 763.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხას (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 30, მუხ. 176; 1937 წ. № 4, მუხ. 30) დაემატოს პუნქტები 17 და 18 შემდეგი შინაარსისა:

№№	სახსრების წყაროები	სახსრების დანიშნულება
17	5% ანარიცხი ლუფის დასამზადებელი ღირებულებიდან.	ლუფის მთესველთა აგრომომსახურეობა.
18	8% ანარიცხი დაფნის ფოთლის დასამზადებელი ღირებულებიდან.	დაფნის კულტურის აგრომომსახურეობა და განვითარება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. მაისის 4. № 793.
თბილისი

---

57. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალო კომისარიატის დებულებისა და სტრუქტურის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 45. მუხ. 267). საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 12 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 1, მუხ. 2);

ბ) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 6 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული საკურორტო თათბირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 19, მუხ. 206);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სამალარიო კომიტეტის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 1 ოქტომბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 23, მუხ. 294);

დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საკურორტო მშენებლობის განხორციელების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხლი 177);

ე) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 14 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 12, მუხ. 124; № 19, მუხ. 167);

ვ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 20 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან სამშენებლო ტრესტ „საქკურორტმშენის“ ორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 25, მუხ. 149);

ზ) მუხლები 4—10 დებულებისა მალარიასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ, № 33, მუხ. 197);

ი) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 1 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან სამშენებლო სამმართველოს ჩამოყალიბების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 15, მუხ. 112).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მაისის 13. № 839.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 57 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს და ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 75, 82, 105—110 მუხლების შესაბამისად, ხელმძღვანელობს სახელმწიფო მმართველობის მისთვის მინდობილ დარგს, წარმართავს და შეამოწმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მუშაობას და უშუალოდ განაგებს მისდამი დაქვემდებარებულ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებებს, სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, კურორტებსა და საწარმოებს.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, თავისი კომპენტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მომქმედი კანონების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათს შესასრულებლად და ამოწმებს მათს განხორციელებას.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი შეაჩერებს და გააუქმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, სსრ კავშირის, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი დანიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამმართველოების, განყოფილებების, სექტორებისა და ჯგუფების ხელმძღვანელ მუშაკებს და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს; სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს დასამტკიცებლად წარუდგენს სამმართველოთა მის მიერ დანიშნულ უფროსებსა და მათს მოადგილეებს, აგრეთვე რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსხვილ სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით; დაამტკიცებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების სამმართველოთა უფროსებსა და მათს მოადგილეებს, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მსხვილ სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სიის მიხედვით.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს.

II. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი ანხორციელებს შემდეგ ამოცანებს:

ა) აწყობს მოსახლეობისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის საქმეს, რაც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და უფასო იქნება ყველა მშრომელისათვის; ხელმძღვანელობს დაავადებათა თავიდან ასაცილებლად საწარმოებელ მუშაობას; უშუალოდ განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის სამკურნალო დაწესებულებებს; სამედიცინო მუშაკთა შრომის სწორი ორგანიზაციის, მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვის, სამკურნალო კვებისა და საავადმყოფოთა მეურნეობის უკეთესი ორგანიზაციის გზით ატარებს მე-2 მუხლში აღნიშნულ ორგანოების მეშვეობით, საავადმყოფოებში სამკურნალო დახმარების გაუმჯობესების ღონისძიებებს; ატარებს საავადმყოფოს გარეშე დახმარების (პოლიკლინიკები, ამბულატორიები, დისპანსერები, სახლში დახმარება) გაუმჯობესებისა და გაფართოების ღონისძიებებს; ანხორციელებს სასოფლო საექიმო უბნის, სოფლად საფერშლო და სამეანო პუნქტის განმტკიცების ღონისძიებებს; სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე აწყობს მუშაობას დაავადებათა გამოცნობის, მკურნალობისა და თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიური მეთოდების დანერგვისათვის. ანხორციელებს ფიზიკური კულტურის დარგში წარმოებული მუშაობის სამედიცინო სანიტარულ კონტროლს, აწყობს საუკეთესო სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილების

ფართოდ [illegible]ცელებას და ამოწმებს საავადმყოფოების და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობას;

ბ) განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის ეპიდემიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა ქსელს (ეპიდემიის საწინააღმდეგო სადგურები, მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტები, სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტები და სხვ.); აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების, საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მეშვეობით აწყობს ეპიდემიურ დაავადებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს; აწყობს მასობრივ პროფილაქტიურ აცრას და სადეზინფექციო საქმეს და აუცილებელ შემთხვევებში უშუალოდ ატარებს ამ ღონისძიებებს; ხელმძღვანელობს ვაქცინების, შრატისა და ბაქტერიოფაგის დამზადებას და ადგილების მომარაგებას ვაქცინით, შრატითა და ბაქტერიოფაგით, ამასთანავე ანხორციელებს კონტროლს მათი წარმოებისადმი, თანახმად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო საკონტროლო ინსტიტუტის რწმუნებებისა; აწყობს მალარიასთან ბრძოლის საქმეს, ადგენს მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა საერთო გეგმებს და ანხორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს ცხოვრებაში მათი გატარებისადმი; იწვევს იმ უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირებს, რომლებიც ანხორციელებენ მალარიასთან ბრძოლას და აერთიანებს მათს მუშაობას ამ დარგში; ინსტრუქტაჟსა და კონტროლს უწევს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს აგრეთვე, იმ უწყებებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ანხორციელებენ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს; აწყობს ექსპედიციებსა და სამეცნიერო მივლინებებს მალარიასთან ბრძოლის საკითხის შესასწავლად, აგრეთვე აწყობს მუზეუმებს, გამოფენებსა და სხვ.; ანაწილებს მთავრობის მიერ მალარიასთან საბრძოლველად გამოყოფილ სახსრებს; ამტკიცებს იმ დაწესებულებათა კადრებით უზრუნველყოფის გეგმებს, რომლებიც ეწევიან ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ;

გ) ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო-სანიტარული ინსპექციის ორგანოების მუშაობას; აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების, საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მეშვეობით ანხორციელებს კონტროლს, რათა ყველა თანამდებობის პირმა და კერძო პირმა დაიცვან სანიტარული ნორმები და წესები საწარმოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ნორმები და წესები სანიტარიის სპეციალური სახეების მიხედვით (სამრეწველო კვების, საბინაო, კომუნალური და სასკოლო); აწყობს სანიტარულ დაცვას საქართველოს სსრ სანაპირო ზონებში; უშუალოდ ანხორციელებს სანიტარულ მეთვალყურეობას კვების მრეწველობის საწარმოებისადმი, საკვები პროდუქტებით

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისადმი, ანხორციელებს კონ-
ტროლს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ
შემუშავებული საერთო სავალდებულო სანიტარული ნორმებისა და წესების გა-
ტარებისადმი; დადგენილი წესის მიხედვით მოიწვევს რესპუბლიკის სანიტარულ
მუშაკთა, დაინტერესებულ დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-
თა წარმომადგენლების თათბირებს სანიტარიის და ანტიეპიდემური მუშაობის
უმნიშვნელოვანესი საკითხების შესამუშავებლად და განსახილველად.

დ) ხელმძღვანელობას უწევს მშობიარეთა დახმარების საქმეს საქართვე-
ლოს სსრ-ში; აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო
კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაც-
ვის საოლქო განყოფილების, საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულე-
ბელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მეშვეობით ხელმ-
ძღვანელობს სამშობიარო სახლების, ქალთა კონსულტაციების მუშაობას და კონ-
ტროლს უწევს მათს საქმიანობას; ნერგავს ახლადშობილთა მოვლის უახლეს
მეთოდებსა და მშობიარობის გაუმტკივნეულობის მეთოდებს; აწყობს და კონ-
ტროლს უწევს აბორტებთან ბრძოლის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას;

ე) აწყობს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, უშუალოდ განაგებს
რესპუბლიკური ქვემდებარეობის ბავშვთა საავადმყოფოებს, ბავშვთა სანატო-
რიუმებსა და კურორტებს, ბაგებს, ახლადშობილთა სახლებს, საბავშვო კონსულ-
ტაციებსა და რძის პროდუქტების სამზარეულოებს; ხელმძღვანელობას უწევს
ადგილობრივი ქვემდებარეობის იმავე დაწესებულებებს აფხაზეთის და აჭარის
ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტო-
ნომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების მეშვეობით,
აგრეთვე საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების
ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მეშვეობით; კონტროლს უწევს ამ დაწე-
სებულებათა მუშაობას; აწყობს კონტროლს იმისადმი, რომ სამედიცინო მომსა-
ხურება გაეწიოს ბავშვებს სკოლებსა, საბავშვო სახლებსა, საბავშვო ბაღებსა და
პიონერ ბანაკებში;

ვ) განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის კურორტებსა და სანატორი-
უმებს; აწყობს ახალი ბუნებრივი წყაროებისა და სამკურნალო მნიშვნელობის
ადგილების გამოკვლევასა და გამოყენებას; აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯან-
მრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური
ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების, საქალაქო საბჭოებისა
და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის განყოფი-
ლებების მეშვეობით ხელმძღვანელობს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს
და ანხორციელებს კონტროლს მათი მუშაობისადმი;

ზ) ხელმძღვანელობს სააფთიაქო საქმეს საქართველოს სსრ-ში; აწყობს
მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებათა მომარაგებას
მედიკამენტებით, სამედიცინო მოწყობილობით, ჰიგიენის საგნებით; ანხორციე-
ლებს კონტროლს მოსახლეობისათვის წამლის მიწოდებისადმი. იღებს ზომებს

ახალი სამკურნალო საშუალებების პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის;

თ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის ფარმაკოქიმიური მრეწველობის, მედიკამენტების, სამედიცინო ინსტრუმენტების, პროტეზებისა და აპარატების დამამზადებელ საწარმოებს; ნერგავს გაუმჯობესებებსა და გამოგონებებს სამედიცინო მრეწველობის დარგში;

ი) აწყობს სამედიცინო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და ხელმძღვანელობას უწევს მას; განაგებს უშუალოდ დაქვემდებარებული უმაღლეს და საშუალო სამედიცინო სასწავლებლებს; აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების მეშვეობით ხელმძღვანელობას უწევს მათდამი დაქვემდებარებულ საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტიულ სკოლებს; აწარმოებს ხელმძღვანელი საექიმო კადრების აღრიცხვასა და შერჩევას;

კ) ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებს და მათს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას წარმართავს ჯანმრთელობის დაცვის ამოცანების შესაბამისად; აწყობს სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა პრაქტიკულად გამოყენებას;

ლ) ხელს უწყობს შრომის სოციალისტური ფორმებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში; ანხორციელებს კონტროლს სამედიცინო მუშაკთა ხელფასის სახელმწიფო ნორმირების გატარებისადმი;

მ) ხელმძღვანელობს საავადმყოფოების, ბაგების, სამშობიარო სახლებისა და სხვ. სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა მშენებლობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე; შეიმუშავებს და განახორციელებს სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებს, აგრეთვე კონტროლს უწევს ამ მშენებლობას; დადგენილი წესით დაამტკიცებს რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის საპროექტო დავალებებსა და ხარჯთაღრიცხვებს ქველიმიტური მშენებლობის ობიექტების მიხედვით; აწარმოებს ექსპერტიზას და სათანადო დასკვნის მიცემით რეკომენდაციას იძლევა მათ დასამტკიცებლად იმ ზელიმიტური ობიექტების მშენებლობის მიმართ, რომლებიც დამტკიცებული უნდა იქნას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მიერ;

ნ) ხელმძღვანელობს მოსახლეობის სანიტარული განათლების საქმეს; აწყობს სამედიცინო ლიტერატურის გამოცემას;

ო) ანხორციელებს კონტროლს ყველა უწყებ[illegible] და ორგანიზაციის სამედიცინო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობისადმი;

პ) ამტკიცებს ყველა იმ სამეურნეო-ანგარიშიან საწარმოებისა და ორგანიზაციების წესდებებსა და დებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს. საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით აწესებს დაქვემდებარებულ სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საწესდებო ფონდების ოდენობას;

ჟ) აწყობს საუწყებო არბიტრაჟს იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი ქონებრივი დავის გადასაჭრელად, რომლებსაც განაგებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი ზემოაღნიშნულ ამოცანებს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობის ხაზით, აგრეთვე სანიტარული ზედამხედველობის ხაზით წარმოებული მუშაობისადმი ანხორციელებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების და საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მეშვეობით, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის სამედიცინო დაწესებულებათა მდგომარეობისა და ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სანიტარული ზედამხედველობისათვის.

III. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნება:

1. ეპიდემიის საწინააღმდეგო სამმართველო;
2. საგეგმო-საფინანსო სამმართველო;
3. სამედიცინო-სასწავლებელთა სამმართველო;
4. კადრების სამმართველო;
5. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექცია;
6. საქალაქო საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, ჯანმრთელობის პუნქტებისა და სამედიცინო პუნქტების განყოფილება;
7. სასოფლო საავადმყოფოებისა და საექიმო უბნების განყოფილება;
8. სპეციალური სახის სამკურნალო დახმარების განყოფილება;
9. მშობიარეთა დახმარების განყოფილება;
10. ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიური დახმარების განყოფილება;
11. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება;
12. სამედიცინო და სანიტარული სტატისტიკის განყოფილება;
13. სამობილიზაციო განყოფილება;
14. საქმეთა მმართველობა;
15. სანიტარული განათლების ინსპექცია;
16. ფიზიკური კულტურის ინსპექცია;
17. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. სახანძრო დაცვის ინსპექცია;

19. ქვაბზედამხედველობის ინსპექცია.

10. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისართან იმყოფებიან:

1. სწავლული სამედიცინო საბჭო, რომლის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი;

2. საექსპერტო ტექნიკური ბიურო;

3. არბიტრაჟი.

შენიშვნა: საექსპერტო ტექნიკური ბიურო და არბიტრაჟი მოქმედებენ თვითგამომსყიდველობის საფუძვლებზე.

11. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს აქვს თავისი გამომცემლობა „მედსახგამი“ და ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“.

12. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იმყოფება განსაკუთრებული დებულების საფუძველზე მომქმედი „სპეციალური სამკურნალო სასანიტარო სამმართველო“.

13. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით იქმნება კოლეგია, რომელსაც აქვს რეგულარული სხდომები და რომელიც უწინარეს ყოვლისა განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ანგარიშებს, მნიშვნელოვან ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ტარდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ბრძანებათა სახით.

იმ შემთხვევაში, თუ სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის უთანხმოება ჩამოვარდა, სახალხო კომისარი ატარებს ცხოვრებაში თავის გადაწყეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ სა[illegible]ო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის წარდგენით.

14. ადგილებთან კავშირ-ურთიერთობისათვის და გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისართან იქმნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის საბჭო, რომელიც მოიწვევა ორ თვეში ერთხელ და განიხილავს ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის წარდგენით.

15. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელ და ძირეულ მუშაკთა გამოცდილების გამოყენების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, ყოველთვიურად იწვევს სახალხო კომისარიატის აქტივს.

შესაბამისად, სახალხო კომისარიატის სამმართველოებსა და განყოფილებებში, სამკურნალო, სანიტარულ და სამეცნიერო დაწესებულებებში, სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ხელმძღვანელები იწვევენ აქტივებს რომლებზედაც მოსმენილი და განხილული იქნება მოხსენებები, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მითითებათა შესახებ.

დანართი № 1

ს ი ა № 1

საქართველოს სსრ ჯანსახკომის უშუალო გამგებლობაში არსებული სასწავლო ინსტიტუტებისა და სკოლებისა.

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი;
2. თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი;
3. თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტიული ინსტიტუტი;
4. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი;
5. საფერშლო სკოლები;
6. საბაგო დების სკოლები;
7. სამედიცინო დების სკოლები;
8. კბილის საექიმო სკოლა თბილისში;
9. ფარმაცევტიული სკოლა თბილისში.

დანართი № 2

ს ი ა № 2

საქართველოს სსრ ჯანსახკომის უშუალო გამგებლობაში არსებული სასწავლო პროფილაქტიური დაწესებულებებისა.

1. ქუთაისის სამეანო-გინეკოლოგიური საავადმყოფო;
2. ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფო;
3. ბათუმის „ „
4. სურამის „ „
5. ქუთაისის ფსიქიატრიული კოლონია;
6. ცენტრალური განმანაწილებელი პუნქტი თბილისში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. პასტერის სადგური ქუთაისში;
8. ცენტრალური საჩვენებელი ბაგები თბილისში;
9. რძის პროდუქტების ცენტრალური სამზარეულო;
10. ბაკურიანის სანატორიუმი საბავშვო სახლებში აღსაზრდელთათვის;
11. სურამის ბავშვთა სანატორიუმი;
12. ტროპიკული სადგურები;
13. სამალარიო სადგურები;
14. სამალარიო დისპანსერები და პუნქტები;
15. სამალარიო პროფილაქტიური პუნქტები;
16. ჰელმანტოლოგიური პუნქტები;
17. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ტუბერკულოზური და ვენეროლოგიური დაწესებულებანი.

დანართი № 3

ს ი ა № 4

საქართველოს სსრ ჯანსახკომისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევო და სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულებებისა.

ა. სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი

1. ფსიქიატრიული ინსტიტუტი (თბილისი);
2. დედათა და ბავშთა დაცვის ინსტიტუტი (თბილისი);
3. ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი (თბილისი);
4. ტუბერკულოზის ინსტიტუტი (აბასთუმანი);
5. დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ინსტიტუტი (თბილისი);
6. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი (თბილისი);
7. სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტი (თბილისი);
8. ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი (თბილისი);
9. შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტი (თბილისი);
10. სისხლის გადასხმის ინსტიტუტი (თბილისი);
11. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი (თბილისი);
12. კვების სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორია (თბილისი);

ბ. სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულებანი

1. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი;
2. თვალის სნეულებათა ინსტიტუტი;
3. სანიტარული სტატისტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი (თბილისი);
4. სასამართლო-ქიმიური ლაბორატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4

ს ი ა № 3

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამეურნეო-ანგარიშიანი ორგანიზაციებისა.

1. მთავარი საკურორტო სამმართველო;
2. ფარმაკო-ქიმიური სამმართველო;
3. სააფთიაქო სამმართველო;
4. სამედიცინო მომარაგების კანტორა „მედმომარაგება";
5. სარენდგენო-ტექნიკური სახელოსნო;
6. სამედიცინო გამომცემლობა-„მედსახგამი";
7. სატრიკოტაჟო სახელოსნო;
8. საპროტეზო სახელოსნო.

4
ГУСТ 33,35
Г,КЕ ИЖЗЛ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაბეჭდავი: საქართველოს სსრ ხალხთა კომისართა საბჭო

ფასდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტი“-ს პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 28

მოცულ. რწმ. № ლ-490 შეკვ. № 682 ტირაჟი 2000